№ 68. 1 აპრილი, პარასკევი. 1866—1883 1 აპრილი, პარასკევი. № 68.

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა
მიიღება ტფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთ ადრესი В Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:
მთელ. წლისა . . . 9 მან. ‖ სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ‖ ერთი თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი, [illegible] ლით ასოზე ნახევარი კაპეიკი, [illegible] სტრიქონზე ორი კაპეიკი.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი")

### რუსეთიდამ

30 მარტს

პეტერბურღი. გამოცხადებულია მოსკოვში სახელმწიფო ნიშნების (რეგალია გვირგვინი, სკიპტრა, პორფირი და სხვ.) გადატანის ცერემონიალი: საზამთრო სასახლიდამ ნიშნები გადატანილ იქმნება ნიკოლაევის რკინის გზაზედ საპარადო ეკიპაჟებით სასახლისა ერთის ესკადრონით კავალერ-გარდის კანვოისა, მოსკოვამდი ნიშნებ გააცილებს დენერალ-ადიუტანტი, კაბინეტის ჩინოვნიკები და კანვოი სასახლის გრენადერებისა, მოსკოვში მიეგებება ამათ დენ.-გუბერნატორი, სამოქალაქო გუბერნატორი და ობერ-პოლიცმეისტერი; საიარაღო პალატაში ნიშნები გადაეცემა სასახლის კანტორის თავს-მჯდომარეს.

საფოსტო დეპარტამენტი, ახალი წესდების გამო, აცხადებს, რომ შინ მიტანა და მიღება ფოსტაში წერილებისა თუ გაზეთებისა იქმნება აგრეთვე დიდს დღესასწაულობითაც.

„*Journal de St.-Peterbourg*"-ი ჰმოწმობს, რომ თავ. გორჩაკოვი ნამდვილად პირიდამ საქმებისაგან მოკვდაო. ეს სენი ათი წელი სჩვევია თავადს.

მოკლეს ხანში შეუდგებიან შემდების მოპოვებას სახელმწიფო რკინის გზის გასაყვანად ვლადიკავკაზიდამ—პეტროვსკამდი—345 ვერსზე.

„წესდებათა შეკრებულებაში და მთავრობის განკარგულებაში გამოცხადებულია, რომ სევასტოპოლის გრადნაჩალსტვო და ნიკოლაევის სამხედრო საგუბერნატორო დარჩებიან „მომატებულის დაცვის" (усиленная охрана) ქვეშ, სანამ სხვა ადგილებშიაც არ მოისპობა ეს შემოღება და ეს ადგილები დაექვემდებარება ადესის დენერალ გუბერნატორს.

უმაღლესად ნაბრძანებია: თავისუფალი ფლოტის საზოგადოება დაექვემდებაროს ზღვის სამინისტროს.

პეტერბურღი. ახალის განკარგულებით ცხენის ჯარი უნდა შეგროვდეს ამიერიდამ კავკასიაშიც, გარდა ყუბანის და თერგის ყაზახებისა.

ბაასი კავკასიის ტრანზიტის შესახებ გათავდა; ყველა წესთა აზრი ამ საგნის შესახებ დაიბეჭდება ცალკ-ცალკე დაბოლოებით გადაწყვეტა ტრანზიტის საქმისა მოხდება სახელმწიფო რჩევაში.

მოსკოვი. იმ გზაზედ, რომელზედაც გამოივლის უდიდებულესი სახლობა გამართული იქმნება ადგილები საზოგადოებისათვის რჩევის გვირგვინის-კურთხევის კამისიისაგან; ადგილებისა ფასი იქმნება 3 მან.—10 მანეთამდე.

### სამზღვარ-გარეთიდამ

28 მარტს

ლონდონი. გუშინ საზოგადო პალატამ მიიღო წესდება ასაფეთქ მასალებისა და დღეს ლორდთა პალატამ. გამბურღიდამ მოსულს გემზე აღმოაჩინეს ორი პაკეტი ასაფეთქ მასალებით.

### დღიური

რედაქციის სახელობაზე კიდე მოვიდა ორი დეპეშა თ. გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალების გამო.

დეპეშა ხარკოვის უნივერსიტეტის კავკასიელ სტუდენტებისაგან:

„ხარკოვის უნივერსიტეტის კავკასიელი სტუდენტები გულითადს მწუხარებას გამოსთქმენ ქართველის პოეტის გარდაცვალების გამო, რომლის ხსენება საუკუნოდ არ აღმოუფხვრის ჩვენს გულიდამ."

დეპეშა ადესელ ქართველ სტუდენტებისაგან:

„განუზომელს მწუხარებას მიგვცა დიდებულის, უსაყვარელის პოეტის გარდაცვალებამ; გრიგოლ ორბელიანის დაკარგვა დაემჩნევა მთელს საქართველოს. საუკუნოდ იყოს ხსენება „სადღეგრძელოს" დამწერისა, პოეტისა, რომელმაც განაღვიძა ჩვენში წმიდა გრძნობა მამულისადმი სიყვარულისა. გთხოვთ აუწყოთ პოეტის ნათესავთ ჩვენი მწუხარება."

—24 მარტს ხონის სემინარიაში ქართული ენის მასწავლებლის შუამდგომლობით გარდაუხდიათ პანაშვიდი მიცვალებულის პოეტის თ. გრიგოლ ორბელიანის მოსახსენებლად. პანაშვიდის დაწყებამდის დირექტორმა სთქვაო, გვწერს კორრესპონდენტი, ორიოდე სიტყვა, რომლითაც გააცნო დამსწრე საზოგადოებას მიცვალებულის ვინაობა. პანაშვიდის შემდეგ ერთს სემინარიის შეგირდს ი. გულისაშვილს წარმოუთქვამს სხვათა შორის შემდეგი სიტყვა:

„დიდად სამწუხარო ამბავი მოგვიტანა დღეს „დროებამ". ყოველს ქართველს შეაძრწუნებს და ბევრჯელ ამოაოხრებს ეს ამბავი. ეს დიდად უსიამოვნო ამბავი არის გარდაცვალება თ. გრიგოლ ორბელიანისა, ჩვენის უკვდავის პოეტისა. თვალთაგან მოგვშორდა დიდი პოეტი, მაგრამ მისი შრომა ლიტერატურაში, თუ კერძო საქმეებში, მისი ბრძოლა ყოველ ბოროტებასთან არ დაიფარვის თავის დღეში და განსვენებულის სიტყვა, თუ საქმე, დიდს ხანს არ დაავიწყდება ქართველს. არ შეიძლება, რომ

## „დროების" ფელეტონი, 1 აპრილს.

### ჭკიპარტის ნიმუში

(პასუხად ალ. მირიანაშვილისა)

ბ-ნმა მირიანაშვილმაც ფეხი გამოჰყო, ფარაში გაერია და „დროების" ფურცლებიდგან კენჭი გვესროლა. მტყობა მას კარგად არა ჰქონია შენიშნული, რომ უსუსური ბავშვი, რომელიც შურდულით კენჭს სხვას ესვრის, ხშირად მოირტყამს ხოლმე თავის საკუთარ თავში, დააზიანებს მას და უტკივარს თავს აიტკივებს. რა თვისების და სუნის მიზეზი ჰბადავს ამისთანა ბავშურს შენიშვნებს და წერილებს, როგორიც არიან ბ-ნი მირიანაშვილისა და ქუთათური ბორასი, ამის ახსნას და მოხსენებას სხვა დროსათვის გადავდებთ. ეხლა კი ჩვენ არ გადავსცდებით შენიშვნების ვიწრო კალაპოტსა და პირველადვე ვიტყვით, რომ ბ. მირიანაშვილი ბევრად უკეთესად მოიქცა ქუთაითურს ბორაზედ. უკანასკნელმა სასაცილო უჩინმაჩინის ქუდი დაიხურა, პირველმა კი მამაცურად მოაწერა მთელი თავისი სახელი და გვარი შენიშვნის ქვეშა. ჩვენ ძალიან გვძულს ყოველ გვარი იეზუიტობა და მეტად ძვირფასად ვსთვლით პირდაპირობას და ამიტომ ბ-ნს მირიანაშვილს უფრო თავაზიანად მოვეპყრობით, ვიდრე მოვეპყრობოდით მაშინ, თუ მასაც სირაქლემასავით თავი წაეყო ბალახში და გრძელი ბოლო კი ზევით დაენარჩუნებინა.

ქაღალდის პაწაწა ხუხულა ბ-ნი მირიანაშვილისა დანდობილია ორს ჩხირზედ: ერთია ცოცხალი ტყუილის ჩხირი, მეორე მტკნარი გაუგებრობისა. ჯერ გამოვაცალოთ პირველი ჩხირი.

დედა ენის და ბუნების კარის ავტორი კაბინეტის კაცია, ბავშვები თვალითაც არ უნახავს და ამიტომ მის წიგნების ნაცრად-ქცევა ადვილი საქმეაო,—საჭიროა მხოლოდ რომელიმე უსუსურმა შურდულით კენჭის სროლა გაბედოსო. ასე ბძანებს ბ-ნი მირიანაშვილი. ჯერ კაცმა ტყუილი არ უნდა იკადროს და თუ ღმერთი გაუწყრა და იკადრა, იმისთანა სიცრუე მაინც უნდა სთქვას, რომ პატარა გრძელი ფეხები ებას. თითქმის ყველა სახალხო მასწავლებელმა იცის და ბლომმა ნაწილმა ჩვენი მკითხველი საზოგადოებისამაც უწყის, რომ ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ვიყავით მასწავლებელი და ხელმძღვანელი ექვს კლასიანი სასწავლებლისა, რომ ჩვენ თერთმეტი წლის განმავლობაში, შესათვისებლად ბევრგვარი საგნებისა ერთი საგნიდგან გადავდიოდით მეორე საგანზედ და ვასწავლიდით სხვა-დასხვა დროსა გეოგრაფიასა, არითმეტიკასა, ისტორიასა, რუსულს ენასა, ქართულს ენასა, მეტყველებასა, ლიტერატურის ისტორიას,— რომ ჩვენ ვასწავლიდით არა მარტო უფროსს კლასებში, არამედ მოსამზადებელში, სადაც მთელი თვეობით ვაძლევდით გაკვეთილებს, რომელზედაც მასწავლებელი იყო მხოლოდ მსმენელი და მაყურებელი,—რომ ჩვენ საშუალო კლასებშიც ხშირად იმისთანა საგანსაც, როგორიც არის საზოგადო გეოგრაფია, ვასწავლიდით ქართულად გადათარგმნით რუსულს ენაზედ, რაიცა არავის გაუბედნია არც ჩვენ წინად და არც ჩვენს შემდეგ.*) საზოგადოებამ ისიც კარგად იცის, რომ თუმცა უკანასკნელს წლებში აფიციალურს ადგილს მოვერჩით, მაგრამ ახლაც ძალიან ახლო ვდგევართ განათლების საქმესთანა, ერთი შუაგულთაგანი ადგილი გვიჭირავს და ვიღებთ დაახლოებულს მონაწილეობას სამოქალაქო და სასოფლო სასწავლებლებში.

ამიტომ ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ჩვენი სახელმძღვანელონი არიან ნაყოფნი დედუქტიური მოსაზრებისა და პრაქტიკული გამოცდილებისა.

ესეთია საქვეყნო ფაქტი! ახლა რომელიმე მამაცი სულიერი რომ გამოხტეს და ხმა მაღლა დაიყვიროს: გოგებაშვილს ბავშვები თვალით არ უნახავს და მათთვის კი სახელმძღვანელოებს ადგენსო, რა პასუხს უნდა მოელოდეს მკითხველისაგან? ყოველი მკითხველი მას დაარქმევს უსირცხო და უგუნურს არსებასა. მაგრამ ბ-ნი მირიანაშვილი არც უსირცხვილო ადამიანია და არც სრულიად უჭკუო. იგი არის მხოლოდ გაბრიყვებული ბავშვი.

დედა ენის და ბუნების კარის დანაცრება! არა ერთი ენერგიული და ნიჭიერი პირი ალიჭურვა ამ კეთილშობილის წადილითა (პიროვანი გაბოროტების გამო), მაგრამ სრულიად ამაოდ ჩაიარა მათმა ტყვია-წამალმა. თუ მსხვილმა კაცებმა ამ წიგნებს ვერა დააკლეს-რა, რა უნდა დაუშაონ

*) ეს ფაკტი ბეჭდვით შეამოწმა უბედურმა ასათიანმა, თავის მოთხრობაში „მე და ონისიმე", რომელიც „იმედში" იყო დაბეჭდილი ამ ერთი წლის წინადა.

ნამდვილმა ქართველმა მისს მოგონებაზედ უში არ დაიძახოს და ვაი არ დააყოლოს! არ შეიძლება, ვინც იმას ნამდვილად იცნობდა, მოიგონოს იგი გულ-ცივად, რომ მის გულში არ აღიგზნას ის დაუქრობელი ცეცხლი, არ მოაგონდეს ის ქართველების მავნე ნაპერწკალი, რომელიც ასე შეუბრალებლად უღრღნიდა გულს განსვენებულს პოეტს. გრიგოლ ორბელიანი იყო ერთ და იმავე დროს პოეტიც, მუშაც და მხედარიც. იგი მოჰკვდა, მაგრამ სახელი მისი, მისი ნაწარმოები და ნაღვაწი არ ჩაივლის უქმად ყოველს ნაბიჯზედ შეჰხვდება ქართველი მათ. მით უფრო სამწუხაროდ გვრჩება მისი სიკვდილი, რომ მისებრ კაცთ წლობით კი არა, საუკუნოებით ჰბადებს ბუნება...

* * *

ჩვენ გვაცნობეს რომ პატივცემულ გრიგოლ გურიელს შეუწირავს ასი თუმანი „ქილილა და მანანას დასაბეჭდად.

* * *

თ. დონდუკოვ-კორსაკოვის შუამავლობით სახალხო განათლების მინისტრს გადუწყვეტია ყუბისადა თერგის მაზრების საზოგადო შკოლების მასწავლებლებს, რომელთაც ჯამაგირი საზოგადოებისაგან ეძლევათ, მიენიჭოთ საზოგადო უფლებები სამსახურისა და პენსია სახელმწიფო ხაზინიდამ. მაგრამ ეს უფლებები იქნება გავრცელებული მხოლოდ იმ მასწავლებლებზედ, ვისაც კურსი გაუთავებია სამასწავლებლო სემინარიებში, ან მოუპოვებიათ წოდება სამაზრო და სამოქალაქო სკოლების მასწავლებლობისა:

* * *

შინაგან საქმეთა მინისტრს მოუთხოვია ყველა ქალაქებისათვის პროგრამა, როგორ უნდა იდღესასწაულონ იმპერატორის გვირგვინის კურთხევის დღე.

* * *

არამც თუ მარტო ჩვენ მთებში, სომხეთისკენაც სცოდნია ზვავები. როგორც „მშაკსა" სწერენ, ვანის მაზრაში, ქ. შათახში, 18 თებერვალს ჩამოწოლილა ერთი საშინელი ზვავი, რომელსაც მოუტანია 48 ბალი ხეხილისა და 16 სახლი ყველა თავის მცხოვრებლებით და საქონლით. დახოცილების რიცხვი შეადგენსო 58 სულს ხალხს; ზვავისაგან ისეთი საშინელი ქარიშხალი ამოვარდნილა, რომ დაუნგრევია 32 სახლი, 3 წისქვილი და 17 დუქანი. დახოცილა 58 სული და რამდენიც დამტვრეულ-დამახინჯებული იქნებაო, ოთხის მეტი ყველა სომხები ყოფილა.

* * *

„ნოვოე ვრემია" შეატყობინებს, რომ ხელმწიფის გვირგვინის კურთხევის დროს ჩინოვნიკებს საჩუქრები დაურიგებათო. უფროსი ჩინოვნიკები მიიღებენ რამე საპატიო საჩუქარს და უმცროსები ფულს.

* * *

„რუსის კურიერში" ვკითხულობ, რომ საეპარქიო მთავრობის მეცადინეობით, რამდენსამე ეპარქიებში ამ ცოტას ხანში აპირებენ გახსნას ურთიერთ შორის შესაწევარი საზოგადოება სამღვდელო პირთათვის და გამსესხებელ შემნახველი ამხანაგობა.

* * *

ესევე გაზეთი ამბობს, რომ პეტერბურღის ერობასაც, როგორც მოსკოვისა და ვლადიმირისას, უარი განუცხადებია, ნიშნად თანაგრძნობის გამოცხადებისა, შესწიროს 1000 ქალების საექიმო კურსებს.

* * *

თავ. დონდუკოვ-კორსაკოვის პროექტი, კავკასიაში შემოსავლებ ცვლილებათა შესახებ, განუხილავს უკვე სახელმწიფო რჩევას და თვისის განჩინებით დაუმტკიცებია უმთავრესი ნაწილები ამ პროექტისა...

* * *

რუსული გაზეთი „თეატრი" სწერს შემდეგს ჩვენი სათეატრო დასის შესახებ:

„ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ გვირგვინის კურთხევის დროს განმავლობაში მოსკოვს მივა ტფილისიდამ ქართველთ აქტიორთ დასი გამოჩენილ მოღვაწეებითურთ. ქართულ რეპერტუარში ბევრი ისეთი ორიგინალური პიესა მოიძებნება, რომელშიაც ნაციონალური სიმღერა და თამაშობაა ჩართული. 1881 წელს, არხეოლოგიურ შეკრებილების დროს, პატივცემულნი სწავლულნი გვამნი, რომელთა შორის ისეთი მანათობელიც ერია მეცნიერებისა, როგორიც არის ვირხოვი, დიდის ხალისით დაესწრნენ ქართულ წარმოდგენას. ხელოვნური გამოხატვა ადგილობრივის ცხოვრების ტიპიურ მოვლენათა [illegible] სრულის სინამდვილით წარმოდგენა ადგილობრივის ჩვეულებისა და ადათებისა, და დასასრულ, გარეგანის მხრით სიმართლით სცენის მოწყობა, როგორც ტანისამოსების შესახებ, ისე შეუნიშნველი დაწვრილების შესახებაც. სუყველა ესეები ვამბობთ, ქართულ წარმოდგენებს საინტერესოდ ხდიან არამც თუ მარტო ოდენ მხატრობითის მხრით, არამედ გულის ხმიერობისა და შთაგონებლობის მხრითაც; რადგან ამ წარმოდგენებით ცხადად იხატება ძრიელ განსხვავებული და ფრიად პოეტური ცხოვრება ხალხისა. რაღა იქმნება ლეკურზე უფრო მოაზრებული და უფრო გრაციით სავსე სანახავი?—ამ გვარ თამაშობაში სრული მოთხრობაა სიყვარულისა და მიჯნურობისა, მოთხრობა სავსე სინაზითა და ფუფუნებითა, მორცხვობით გამოთქმულის უბიწოებითა და ხან უშიშრის გულის-თქმის მიერ გატაცებითა. ჩვენ გვგონია, ხომ დიდი წარმატება ექმნება ქართულს დასს სხვა მოსკოვურ სანახაობათა შორის".

* * *

ფოთიდამ გვწერენ:

„ჩვენ ფოთელები ძლიერ მოხარული ვართ, რომ მივბაძეთ სხვა ქალაქებს და დავიარსეთ თვით-მმართველობა და ამ ნაირად გავერიეთ სხვა ქალაქებში. ახლა შეუდექით დიდი მუხლების კანკალით ფეხზე წამოდგომას. მაგრამ დიდი ხნის გალახულს და გაფცქვნილს ჩვენ ქალაქს ჯერ-

---

უსუსურმა ლილიპუტებმა, ისიც ტაშქენთური დალით დამახინჯებულებმა? თუნდაც მათმა მთელმა გროვამ შეერთებული ოფლი ღვაროს ამ წიგნების ჩხრეკაში და ჯიჯნაში, ისეთ ვერასფერს დასწერენ, რომლის ნაცრად ქცევა არ შეეძლოს უბრალო სახალხო მასწავლებელსა, რომელიც ბედს აუშორებია ხსენებული დალისაგან.

დედა ენის და ბუნების კარის ნამდვილი ნაკლულევანებაების დასახელება, რასაკვირველია, შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ განვითარებული, გამოცდილი და პატიოსანი პირისათვის. მათი დანაცრების წადილს განიძრახავს მხოლოდ უსუსური, რომელსაც არ ესმის არც თავისი სისუსტე, არც მოწინააღმდეგეს ძალა. იგი ნაცრად ამ წიგნებს კი ვერ აქცევს, და თვითონ შეიძენს კი ჭრილობათა, რომელთაგან იქმნება დიდ ხანს ვერ განთავისუფლდეს.

რად რჩებოდა და რჩება ამაოდ უკულმართი ვაჟბატონების ცდა ჩვენი წიგნების დასამცირებლად? გაიცანითო ინგლისის მეცნიერის ბენის აზრი შესახებ საკითხავი წიგნების შედგენისა სახალხო სკოლებისათვის, გაიცანით მოსაზრებანი და გარდაწყვეტილებანიო ამ საგნისავე შესახებ კრებისა, რომელიც ერთი წლის წინედ მოხდა პეტერბურღის პედაგოგიურს მუზეუმში და რომელიც შესდგებოდა გამოჩენილი პედაგოგებისაგან და მეცნიერებისაგან და თქვენ იქ ამოიკითხავთ ამ კითხვის პასუხსა: საქმე ის გახლავთ, რომ **დედა ენა** და **ბუნების კარი** აკმაყოფილებენ უმთავრესს მოთხოვნილებათა როგორც ბენისასა, ისე მოხსენებული კრებისასა. როგორც პირველი, ისე მეორე თხოულობენ, რომ პირველი საკითხავი წიგნი სდევნიდეს მხოლოდ ერთს მიზანს—ენის შესწავლას ბავშვისაგან, რომელიც სკოლაში შესვლის დროს ბევრათ უფრო მდიდარია ცოდნით და აზრითი ვიდრე მეტყველებით. თანახმად ამ მოთხოვნილებისა **დედა ენა** იპყრობს მდიდარს მასალას ენის შესწავლისათვის, რომელიც ამორჩეულია ხალხის სიტყვიერს ნაწარმოებიდგან. რეალური ელემენტის შეტანასაც თხოულობენ პირველსავე წელსა, მაგრამ მცირედ და არა საკითხავ სტატიების შუამავლობით, არამედ საგნების გაშინჯვის და მასწავლებლის ცოცხალი საუბრის შემწეობით. ამ მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ **დედა ენის** სასაუბრონი, რომელთანაც ჩართულია სურათები, რომელნიც სრულიად საკმაო მასალას აძლევენ საგნების შესწავლისათვის და მათი კლასიფიკაციისათვის და რომელნიც ისე არიან შედგენილნი, რომ მათი შესწავლა კითხვითა შეუძლებელია და უთუოდ ცოცხალი საუბრის შემწეობით უნდა იქმნენ შეთვისებულნი. მესამე წლისათვის დანიშნულს წიგნისაგან ითხოვენ, რომ იგი უმეტეს ნაწილად იპყრობდეს რეალურს სტატიებს, მაგრამ არა ისეთს მშრალსა და სისტემატიურსა, როგორიც არიან უშინსკის „**Дѣтскій міръ**"-ის სტატიები, არამედ ცოცხალს მონოგრაფიებსა, რომლებიც შეიცავენ, მაგალითად, ცხოველების ცხოვრებას, ჩვეულებას, დანიშნულებას, სარგებლობას, მავნებლობას და გეოგრაფიიდგან ეტნოგრაფიულს აღწერაებს. ლიტერატურული განყოფილებაც მიუცილებელს საჭიროებად მიაჩნიათ, თუმცა მას უფრო ნაკლებ ადგილს აძლევენ წიგნში. **ბუნების კარი** თავისი პროგრამმით და შინაარსით უმეტეს ნაწილად ეთანხმება ამ მოთხოვნილებასა. განსხვავებაც არის, მაგრამ მისი გაუქმება და სრული თანხმობის დამყარება წიგნსა და პედაგოგიურს მოთხოვნილებას შორის ძნელი საქმე არ არის. ერთი სიტყვით დედა-ენა მოშორებულია იმისთანა პირველს საკითხავ წიგნების ნაკლულევანებას, როგორიც არის კორფის „**Малютка**" და ბუნების კარს აცდენილი აქვს ნაკლულევანება „**Дѣтскій міръ**"-ის მზგავსი წიგნებისა.

თუ **დედა-ენას** და **ბუნების კარს** ხშირად ბრიყვად იხსენიებენ, ეს ერთი მხრით წარმოსდგება იქიდგანა, რომ სხვა წიგნები არა გვაქვს, რომელთანაც შედარება შეიძლებოდეს, და ამიტომ ჩვენს სახელ-მძღვანელებზედ სჯიან ურომელოდ, შეუდარებლივ. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენს წიგნებს სხვა წიგნების გაჩენის გამო არამც თუ ფასი არ დააკლდებათ მასწავლებელთა და საზოგადოების თვალში, არამედ ბევრით მოემატებათ, რადგანაც შედარებით იგინი მოგებაში დარჩებიან. ეს ჩვენ მოწინააღმდეგეთ კარგად იციან და ფონს გასვლის გულისათვის ხმარობენ კიცხვას და ლანძღვას, რომელიც არის იარაღი სუსტთა და თავის თავის იმედის არა მქონე პირთა და რომლის მეოხებით ისინი საზოგადოების თვალში ისე დაბლა იმცირებენ თავსა. **დედა-ენის** და **ბუნების კარის** სიმტკიცე სხვა საფუძველზედ არის დამყარებული, რომელიც შედეგია პირველი საფუძვლისა. საქმე ის გახლავთ, რომ მათ ჰყავს ძალიან მძლავრი და მოსიყვარულე მეგობარი. ეს მეგობარი გახლავთ პატარა მოზარდი ქართველი. მისი ერთ-გულების მეოხებით დედა-ენა სასიამოვნო სტუმარია ბევრი სახლისა და ბევრი ქოხისა ნუხიდგან დაწყებული ჭადორის მდინარემდის. **დედა-ენას** უკან მისდევს **ბუნების კარი**, რომელიც მისთანა სასიამოვნო სტუმარი არ არის, მაგრამ არა ნაკლებ სასარგებლო მეგობარია. ჰკითხეთ სოფლის მასწავლებლებს და თქვენ მათგან შეიტყობთ, რომ დედა-ენის შინ არ გატანება მეტად საგრძნობელს დასჯას შეადგენს სოფლის ბავშვისათვის. ჰკითხეთ მეგრელ ბავშვებსა და თქვენ მათგან მიიღებთ პასუხს: დედა-ენამ ისე შეგვაყვარა ქართული, რომ ერთი წლის განმავლობაში წიგნიც გავათავეთ და ქართული ენაც ვის-

ჯეროვნით ძლიერ უჭირს წყლის გამაგრება და შემდეგშიაც საეჭვოა, რადგანაც, რაც კი რამ კარგი შემოსავლიანი ადგილები ყოფილა, ყველა უწინდელ ჩინოვნიკებს გამოუხრავს: ზოგს სახლები გაუჭიმავს, ზოგს ფურნე-დუქნები, ზოგს სასტუმრო და ზოგს ბუტკა-ბაღები ქალაქის საკუთარ წარჩინებულ ადგილებზე. მოდი ახლა და გასწორდეს ქალაქი. თუმცა ჩვენი ქალაქის მმართველობა ძლიერ ცდილობს საქმის კარგად წაყვანას, მაგრამ, საუბედუროდ, აქაც ურევიან ზოგიერთი თავ-მო-ყვარენი, რომლებიც იმდენად არ ზრუნავენ ქალაქის ინტერესების დაცვას, რამდენადაც ჰსურსთ თავისი სახელის მოხვეჭა ნათქვამის გატანა. სხვათა შორის აქ ერთმა წყვრმა გადააჭარბა და გადასძლია ყველას. თითქმის ყოველთვის თავის მხარეზე მიყავს ყოველივე საქმე. იმან რომ თქვას მაგალითად: ფოთის ქუჩები პარიჟის ქუჩებს სჯობიან და ამიტომ შეკეთება არ უნდაო — თითქმის უმეტესი ნაწილი ჭეშმარიტიაო მოახსენებენ. ვაი, ფუჭო იმედებო!..

***

შორაპნის მაზრის სოფ. ხარაგაულიდამ გვაცნობებენ:

„ამ ჩვენ შორაპნის მაზრაში ყოველ სოფლის სასამართლოში არის პატარა რიგიანობა და ამ ჩვენ ხარაგაულის სასამართლოში კი ვართ დატანჯული. ჩვენს მამასახლისს შეუყვანია ერთი ბახი ცხენი სამართველოში და ნამდვილ თავლად უქცევია იგი. თუ სოფელმა უთხრა რამ, ვთქვათ ეს სახლი ჩვენ სასამართლოდ აგვიშენებია და არა თავლადაო, თქვენც მოგეხსენებათ, რა პასუხს მიუგებს მამასახლისი. ერთის სიტყვით ღმერთმა დაგვჩაგრა ესეთის მამასახლისის მეთაურობით. სხვა სიკეთესთან ჩვენ მართველებს „ნუნუას“ და უფრო ხშირად არყის გადაკვრაც დასჩემებიათ. და ესე: სამართველო თავლად, მართველნი დალოთებულნი და რაღა გვიშავს. აგვიშენდა ოჯახი.“

***

ძაუგიდამ (ვლადიკავკაზი) გვწერს ერთი მეურმე.

„ხალხში ძრიელ ხშირად ისმის სამდურავი ვაჭრობის დაცემაზე, ფულის უშოვნელობაზე და სხვ., რომლის მიზეზად მარტო უქირავნებას აწერენ. პირველის მიზეზის გამო-კი არაფრის თქმა არ შემიძლიან, მხოლოდ, რაც შეეხება მეორეს, შემიძლიან გადაწყვეტილად ვთქვა შემდეგი: მართალია, თუმცა ქირავნებამ იკლო და შედარებით სხვა წლებთან განსხვავება არის დიდი, მაგრამ ერთი ნამდვილი მიზეზთაგანი-კი ესეც გახლავსთ, რომ ძაუგში ბ-ნის თუთუნოვის პრიკაშჩიკი წყ—ობ ქ—ზოვი, მეურმე ხალხისაგან ცოტა ძღვნებით მიღებას შეეჩვია, და რასაკვირველია ამისთანა მიზეზით ზოგიერთებისათვის არის ქირა და კიდეც სარგებლობენ იმის ზიდვით, დანარჩენებს-კი ქირის არ მიცემასაც ალარ აჯერებს; მასხარად იგდებს და ეუბნება: ლოშპიტალში მკვდრებია ტფილისს გასაგზავნი, ჩადით და თქვენ ისები წაიღეთო! სადა ხარ დროებავ! დრო იყო, რომ კამისიონერები და მათი პრიკაშჩიკები სუნით დაგვეძებდენ ხოლმე და გვეხვეწებოდნენ: არა ჩემი საქონელი წაიღე და არა ჩემიო; ახლა კი მათი ქვის ჩვენს ზურგზედ დადებაც ქრთამით საძებნელი შეგვექმნია!“

## „დროების“ კორრესპონდენცია

ქუთაისი, 28 მარტს. გწერთ ერთ საყურადღებო, თუმცა ცოტად დაგვიანებულს ამბავს, რომელზედაც ჯერაც ლაპარაკობენ ამ ჩვენს ჭორიკანა ქუთაისში.

ქუთაისის მაზრის მარშალს თ. ა. ნიჟარაძეს, რომელიც ამას წინად დროებით გუბერნიის მარშლის თანამდებობასაც ასრულებდა, უნდოდა წევრად ჩაწერილიყო აქაურ კლუბში, სადაც ყოველი ჯურის ხალხს იღებენ. ამავე დროს ვიღაც „პრიკაზჩიკმა“-ც განაცხადა კლუბში წევრობის სურვილი. უყარეს კენჭი ორთავეს, და წარმოიდგინეთ—ეს ჩვენი პატივცემული თავადი გააშავეს და ეს ვიღაც „პრიკაზჩიკი“ გაათეთრეს—ე. ი. „პრიკაზჩიკი“ მიიღეს და თავად ნიჟარაძეს უთხრეს—არ გვინდიხარო.

ამ ამბავმა დიდად შეაძრწუნა ჩვენი თავადი მისებრ დამსახურებული კაცებითურთ; უნდოდათ სულ სხვა მნიშვნელობა მიეცათ ამ საქმისთვის, მაგრამ ბოლოს იფიქრეს—არ ღირსო—და თავი დაანებეს, [illegible] „გაშავებულ“ თავადს [illegible] ელბო გული და მოაწადინა მაგიერი პასუხის გაცემა გაუზრდელ „კლუბისტებისათვის“.

საქმე იმაშია, რომ ეს კლუბი განათებულია თავად-აზნაურების ფულით ნაყიდის ჭაღებით. რადგან ბ. ნიჟარაძე დროებით ასრულებდა გუბერნიის მარშლის თანამდებობას, ადგა და კლუბის „სტარშინას“ მიწერა დიდი უშველებელი „ლაპორტი“—ჩვენი ჭაღები გვჭირია და გამოგვიგზავნეო. სტარშინამ იმდენი კადნიერება იხმარა, რომ არ გაუგზავნა.

თურმე თ. ა. ნიჟარაძის გაშავების მერე, „პრიკაშჩიკებს“ და ზოგიერთ ვაჭრებს ეგონათ, რომ ამას იქით, თუ სადმე არჩევანი იქნა, თავადებს აღარ აირჩევენ და უპირატესობას ჩვენ მოგვცემენო. თუ ქვეყანაზე იყო იმისთანა ცხოველი, რომ ზემოხსენებული შემთხვევიდამ გამოეყვანა ამისთანა დასკვნა, სწორედ არ გვეგონა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქუთაისში ასზე მეტი კაცი ყოფილა, რომლებიც ამ გვარად სჯიან.

ბეწინ წინ, საღამოს ექვს საათზე იყო სხდომა საურთიერთო კრედიტის ბანკის წევრებისა. ანგარიშის განხილვის შემდეგ, თავმჯდომარემ გამოუცხადა კრებას, რომ ერთმა დირექტორთაგანმა მიატოვა სამსახურიო და მის მაგივრად უნდა აირჩეს ახალი დირექტორიო.

ამის შემდეგ დაურიგა თვითეულ...

---

...წავლეთო, თუმცა სკოლაში შესვლამდის ერთი სიტყვაც არ ვიცოდით ქართულიო. რას ამტკიცებს ეს ფაქტი? არა იმას, რომ დედა-ენა მოშორებული იყოს ნაკლულევანებათა, არამედ იმას, რომ იგი ღარიბი არ არის იმ მსხვილი და მნიშვნელობიანი ღირსებაებითა, შინაარსის მიმზიდველობითა, რომელნიც დიდ-ხანს სჭრიან წიგნის ბედსა. ჩვენი წიგნების გაუკეთესებას დახმარება იქნება ეჭირებოდეს, მაგრამ ამ დახმარების პატივს ვერას დროს ვერ ეღირსება უსუსური სიბრიყვე.

სხვ. მიზეზებიც არის ამ სიყვარულისა პაწაწია ქართველისა ჩვენი წიგნებისადმი. ეს უმანკო არსება გრძნობს, რომ დედა-ენისათვის და ბუნების კარისათვის მათს შემადგენელს არ მიუცხვია ლაქა არც კანცელარიეების ცვეთით, არც წყალობის და სუბსიდიების ძებნით, არც ცუღლუტური ორპირობით, და არც მეტანიის მოყრით წანამე გავლენიანი პირებისა, რომ მათი გზის გაკვეთისათვის უხმარნია მხოლოდ სუფთა, წმინდა ღონისძიება.

დედა-ენას და ბუნების კარს დანაცრებას ემუქრება და ისიც ვინა? ბატ. მირიანაშვილი და ისიც სადა? „დროების“ ფურცლებზედ, რომლის მკითხველებს კარგად ეხსომებად მისი უსუსური სტატია მასწავლებლის მნიშვნელობაზედ, სტატია რომლის დაბეჭდვა „ივერიაში“ ყოვლად შეუძლებლად დავინახეთ რედაქტორმა და ჩვენა, რადგანაც იგი თავიდგან ბოლომდის იყო წმინდა ბავშური ტიტინი. რავდენი „დროების“ მკითხველი გულიანად გაიცინებდა, როდესაც ამ სტატიის ავტორის (?) მამაცურს მუქარას ამოიკითხავდა!

მაგრამ ბატ. მირიანაშვილმა იქნება მოგვიგოს: აიო ბაბიჩაძის დედანზედ გაველაშკრეთ და ნაცრად ვაქციეთო. ეს სასაცილო ოცნებაა, სხვა არაფერი. ჯერ ერთი ესა, რომ ორი მესამედი მაინც ამ სტატიის შინაარსისა ბატ. მირიანაშვილს სხვისაგანა ჰქონდა გაგონილი და მეორედ ისა, რომ ბატ. ბაბიჩაძის დედნის ნაცრად ქცევა ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგანაც იგი თვითონ იყო ნაცარი, რომელსაც შემადგენელიც ვერასფერში გამოიყენებდა. თვით კომენსკი და პესტალოცი რომ მკვდრეთით ამდგარიყვენ და რაიმე მანქანებით მას გამოსარჩლებოდენ, ამ დედანს გზას ვერ გაუკვლევდენ ჩვენს სკოლებში. ბატ. ბაბიჩაძის დამარცხება ამ შემთხვევაში მეტად საყურადღებო საქმეა მასწავლებელთა და საზოგადებისათვის. იგი კაი ხანია მხოლოდ წერის მასწავლებელია და ამასთან მშვენიერი კალიგრაფი; დედანი კი შეადგინა ყოვლად უხეირო და გამოუსადეგარი.

ეს ფაქტი დღესავით ნათლად გვარწმუნებს ერთი აზრის ჭეშმარიტებაში, რომელიც განათლებულს ქვეყნებში დიდი ხანია აღიარებულია; მაგრამ ჩვენში კი იგი ჯერეთ ვერ შეუგნიათ: საქმე ის არის, რომ სახელმძღვანელოს შედგენა, შექმნა შეუძლიან არა გაუხსნელს პრაქტიკს, არამედ განვითარებულს პირს, რომელსაც პედაგოგიურს გამოცდილებასთან მეცნიერება შესწავლილი აქვს. ამ გვარი პირი ხშირად მარტო დედუქციის ძალით შეუცდომლად იგებს ბავშვის მოთხოვნილებათა და შესაბამ გონების საზრდოს უმზადებს მას, მაშინ როდესაც გაუხსნელი პრაქტიკი მთელ თავის სიცოცხლეში ტრიალებს წვრილმანობის წრეში და ვერას გზით ვერ სწვდება დედა-აზრების, პრანციპის და ნაყოფიერი პლანის სფერასა. ამიტომაც რუსეთში და დასავლეთს ევროპაში სახელმძღვანელოებს ადგენენ არა გაუხსნელნი პრაქტიკები, არამედ განვითარებულნი პირნი, რომელთათვის საკმარისია ცოტა ხნობის პედაგოგიური გამოცდილებაც, რომ ბავშვის მოთხოვნილებანი ზედ მიწევნით შეიტყონ და მარჯვედ დააკმაყოფილონ იგინი მოიგონეთ ვინ იყვნენ და არიან უშინსკი, ბარონ კორფი, მოდოლოზოვი, ბუნაკოვი, პიულსონი და სხვა გამოჩენილი რუსის პედაგოგები და თქვენ მთლად დარწმუნდებით ჩვენი აზრის სიმართლეში. ჩვენ ამითი არ გვინდა ვთქვათ, რომ სახალხო მასწავლებელმა სრულიადაც არ უნდა გაბედოს საბავშო სახელმძღვანელოს შედგენა. ჩვენ თვითონ ვიცნობთ რამდენსამე მასწავლებელს, რომელთაც ამ ასპარეზზედ სასარგებლო შრომა შეუძლიანთ, რადგანაც ბუნებითი ნიჭი და გახსნილობა მათ ნებას აძლევს. მაგრამ ისინი სრულიად სხვა ჯურისანი არიან ვიდრე ბრიყვი უსუსურნი.

ბატ. მირიანაშვილს საზოგადოების წინაშე მძიმე ვალი უკისრნია. ყოველი მისი კეთილის მყოფელი ეტყვის მას: ძალა და ღონე სუსტად გაქვს, მოიკრიფე იგი და დაამყარე შენ საქმეზედ, რომ საზოგადოების წინაშე ნათლად გამოჩვიდე. თორემ თუ შურდულით კენჭების სროლას მოჰყევი, შენს საქმესაც ნაცრად აქცევ და თავიც შერცხვენილი და დაზიანებული შეგრჩება უკანვე დაბრუნებული ქვებით.

ჩვენ არც წანეთ ნათქვამს დავსწერდით და აღარც სიტყვას გავაგრძელებდით, რომ ბ. მირიანაშვილს ეს აზრი გამოეთქვა: მთელს ჩვენს სიმდიდრეს ამ ჟამად შეადგენს დედა-ენა და ბუნების კარი; ძალიან კარგი იქნება, რომ სხვებიც გამოვიდნენ ამ ასპარეზზედ, მხარი მისცენ ბოგებაშვილს და გაამდიდრონ ჩვენი საბავშო ლიტერატურა. ჩვენ ამ აზრის გამოთქმისათვის მას ძლიერ დაუმადლებდით და ერთგულს შემწეობას აღმოუჩენდით ამხანაგთა. მაგრამ იგი სრულიად სხვა ნაირად მოიქცა. მან ბატ. იაკობ პავლეს-ძე როსტომაშვილი ამომავალს მზედ გამოიყვანა და დაიძახა: ძირს ბოგებაშვილი და გაუმარჯოს როსტომაშვილსაო. მათ შეერთებული ძალით და მოსაზრებით ჩვენთვის ორმო გათხარეს. მაგრამ ვინ დაეცემა ძირსა და ვინ ჩავარდება მასში, ამას მკითხველი შემდეგს წერილში იხილავს.

იაკობ გოგებაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევრებს ქალალდების ნახევი და უთხრა—ვისი არჩევაც ვინდათ, ამ ქალალდზე დასწერეთ მისი სახელი და გვარიო. კრებამ წარადგინა სამი კანდიდატი: ბ.ბ. ი. ქვარიანი, ქუთაისის მოქალაქე, დ. დადიანი, „შრომის“ რედაქტორი და ალ. ჭყონია, ვექილი. ხმის უმრავლესობა ირჩევდა ბ. ი. ქვარიანს... ა. ჭყონიამ კენჭის ყრაზე უარი განაცხადა. შყარეს კენჭი თ. დ. დადიანს და ი. ქვარიანს. პირველს შეხვდა 115 თეთრი და 74 შავი, უკანასკნელს 108 თეთრი და 81 შავი. ამ გვარად შეიდი ხმის უმრავლესობით არჩეულ იქმნა დ. დადიანი...

ლუპუნტატი.

**ს. აწყური, 25 მარტს.** სოფელი აწყური გახლავთ თელავის მაზრაში და მდებარებს ამ ქალაქიდამ მეათე ვერსზე. აწყურს აქვს ერთი ქვითკირის ეკლესია, რომელსაც ვერ უძაგებთ ვერც გარეშამო კედლების სიმაგრეს და ვერც ჰერისას; ამის წუნი გახლავთ „სიპატარავე“, მაგრამ ეს „სიპატარევე“ ისეთია, რომ რამდენიმე ათი წლის განმავლობაში ამ სოფელს ბევრი ხალხიც მომატებია და კიდეც დაჰკლებია, მღვდელიც ბევრი გამოცვლილა და ერიც, ბევრი კარგი მოსავალი ყოფილა და „ავიც“ და ყველა და ყოველთვის მოთავსებულა ამ ეკლესიაში. წელს კი როდესაც ხალხი შიმშილისაგან არის დაწიოკებული და სიღნაღის მხარეს მიდიან ორ-ორი კოდი პურის სასყიდლად, (აბა, ვიფიქროთ, რა უჯდება საცოდავ გლეხკაცს 6-7 დღეს მოცდენა ეხლა, როდესაც მამულებს უნდა იმუშავებდეს) ველარც ხალხი ეტევა და ველარც მღვდელი და, ამისთვის დაიწყეს ახალი ეკკლესიის შენობა. აშენებისათვის გადადებულია 3000 მან... პირობის ძალით ამ თვით მეიჯარადრე ბაბუნიძეს 300 მან. უნდა ჩააბარონ და როცა მუშაობას დაიწყებს ზოგიც მაშინ. ეხლა პირველად ჰკრეფენ სოფელში, 300 მან., და ზოგი ათ ვერსზე მირბის სასესხებლად, ზოგი ოცზე, ვისაც ერთი ქათამი ჰყავს იმასა ჰყიდის, ზოგს სუდიები „არბევენ.“ *) თუ პირველად ფულის მოკრეფაზე ასე დააწიოკეს ხალხი მეორეზე, როდესაც, უნდა მოკრიფონ 2700 მ., რაღას უზამენ. მაგრამ ვის რა ეთქმის! მხოლოდ იმას მოგახსენებთ რომ აქაური სუდიები და ზოგიერთი პირნი ძალიან ოსტატი და მოხერხებული ხალხია: ნაკლული წელიწადი მოგვივიდა იძახიან, არც პური გვაქვს, არც ღვინო, მამულებიც შეუმუშავებელი დაგვრჩება, თუ რამე არ მოვიგონეთ და... მოიგონეს ეკკლესიის აშენება. მართლა, რომ ნამდვილ საშუალებას მიაგნეს: თუ ამათ ბაბუნიძესთან „კანდრახტი“ არ დეეწერათ, 3000 მ. არ მიეცათ და ფულიც ესე ყოჩაღად არ ეკრიფათ, ხომ სხვა ვინმე აიღებდა ამ საქმეს 1600—1800 მან. და ამისთვის ამათ ვექსილებს არ დაიხსნიდა და არც სხვა საჩუქრებს მისცემდა, და არც ხალხი ესე დაწიოკდებოდა.

ჯერ კიდე დროა: ღმერთმა ისმინოს გონზედ მოსულიყვნენ ის პირნი, რომელთაც შიუძლიან დროებით დაყენება ძველი ეკკლესიის დაქცევისა და ახლის დაწყობისა-და ამითი შევების მიცემა ამ უსაცოდავეს ხალაისათვის. უველა ამ უბედურებას გარდა ხალხი სახადისაგან (**тифъ**) იხოცება და მშველელი არსაითა ჩანს. რა დროს ეკკლესიის დაქცევა და ფულის კრეფაა? ექიმი მოგვაშველონ... თუ მარტში ესე „გაძლიერდა“,—თიბათვეში და მკათათვეში რაღას იზამს ეს სენი.

სოფლელებს პრისტავისაც არ ეშინიანთ, ისე, როგორც სახადისა, მაგრამ ამათი მოთავენი კი ყურსაც არ იბღერტამენ...

Z.

*) დარბევას იმას ეძახიან, რომ წაართმევენ რომელსამე ნივთს და თუ ღირს 10 ან მეტ მანეთად, ორ და სამ მან. გაუყიდიან და ამ ფულიდამ სუდიები აიღებენ ათიოდე შაურს თავის გასამრჯელოს.

---

**სტამბის სხვა სადგომში გადატანის გამო, სამშაბათამდის გაზეთი არ გამოვა.**

---

# განცხადებანი

**კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში ისყიდება აბრაშუმის ჭიის თესლი ფასი მისხლისა 50 კაპ.**

---

**მკერავი ქალი**

პეტერბურღიდამ მოსული იღებს საკერავებს. ზედ-მიწევნით იცის თვისი საქმე. ლაბორატორიის ქუჩა, მაკაროვის სახლი, № 28, იკითხეთ ეზოში. (1—1)

---

**რადგან მივდივართ,**

ისყიდება 5 ნაწილი ადგილისა წყლის ნაპირას ახალი ხიდის მახლობ; პირობის შეტყობა შეიძლება ინგლისის მაღაზიაში.

ამავე მიზეზით ისყიდება ნახევარ ფასად: ტანთ-საცმელი, ტრიკო, შალის ჩულქები და სხ. და სხვ.

იქვე აუარებელი რკინის კალმები, რკინის ტახტები, ჩაი 1 მოსავლისა, კაცისა და ქალის უნაგირები, საპონი და სხვ და სხვა—25% ნაკლებ სანამ სხვაგან. გლიცერინის საპონი 40 კ. გირვანქა!

**ინდოეთის ბრინჯი 5 კ.**

(10—3)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

**საყმაწვილო ბაღი**

**№ 1**

საყმაწვილო დრო-გამოშვებითი გამოცემა, გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ. მოსწავლეთათვის 20 კაპ.

---

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

**სალამური**

**№ 1.**

გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ.

---

**ახალი ქართული**

# ქარაბადინი

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

**ფასი ყდიანის ერთი მანეთი.**

---

**წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემანი:**

იგავ-არაკნი, გალექსილნი თ. რ. ერისთავისაგან, სურათებითი გამოცემა მეორე, ფასი ექვსი შაური.

**წითელი ფარანი**, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ზ. ანდრონიკაშვილისა, ფასი სამი შაური.

**ხატაური**, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ანასტასია თუმანიშვილისა, ფასი ორი შაური.

ეს წიგნები ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში და წიგნების მაღაზიებში. ვინც ნაღდს ფულზედ ერთბაშად იყიდის 15 ეგზემპლიარს რომელსამე წიგნისასა, დაეთმობა 20% ანუ მანეთზედ ერთი აბაზი და მიეცემა: იგავ-არაკი წიგნი 24 კაპ., წითელი ფარანი 12 კაპ. და ხატაური 8 კ. (10—10)

---

**ახალი წიგნი**

**ისყიდება შავერდოვის გაზეთის სააგენტოში, ბულვარზე**

შემოკლებული

**საქართველოს**

# ისტორია

შედგენილი რომან ცანციევისაგან. 1882 წ. ფასი თოთხმეტი შაური, გაგზავნით **ოთხი აბაზი.**

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**დედა და შვილი**

**და**

**რამდენიმე ლექსი**

თ. **ილია ჭავჭავაძისა.**

ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული

ფასი 15 კაპ.

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

# სახსოვარი

**ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.**

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

---

**დაიბეჭდა და გამოვიდა ცალკე წიგნად**

# „ციკო“

მოთხრობა

**ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)**

ფასი ადგილზედ 30 კ. გაგზავნით 40

ისყიდება ტფილისში „დროების“ რედაქციაში და შავერდოვის პავილიონში ალექსანდროვის ბაღთან. წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივი დათმობა, მოსწავლე ყმაწვილებისათვის, ვინც პირ-და-პირ „დროების“ რედაქციიდგან წაიღებს, ადგილზედ 20 კაპეიკად თითო წიგნი, გაგზავნით 30 კაპ. (20—20)

---

**ინგლისური რკინის კრავოტები**



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხაფანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—45)

---

გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება: ქართველი კლასიკები

**№ 1**

**ჩახრუხაძე**

შემოკლებულის ბიოგრაფიით.

გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 20 კაპ.

---

**ტაქსია**

**საკვებაკ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 მარტიდამ 1 აპრილამდის.**

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური:ხორბლის ფქვილის | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ | —1 გირ. | $3^1/_2$ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | |
| პირველ ხარის.ლავაში | 1 გირ. | $5^1/_2$ |
| მეორის „ „ | —1 გირ. | $4^1/_2$ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 კ. |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 17 კ. |
| ცხვრის ხორცი | — 1 გირ. | 11 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 Марта 1883 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.